კერამიკოს გიორგი ტატულაშვილის სასწავლო პრაქტიკული კურსი ტატულაშვილის მუზეუმ-სახელოსნოში

კერამიკული პროდუქციის წარმოება

სექტემბერი-ოქტომბერი, 2022, ქ. გორი

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი დამწყები კერამიკოსებისთვის, კერამიკის სპეციალობის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისთვის, კერამიკის წარმოებით დაინტერესებული პირებისთვის, მათთვის, ვისაც აქვს საბაზისო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცხადებს ინდივიდუალურ სასწავლო კურსს კერამიკული პროდუქციის წარმოების შესწავლაზე ქ. გორში, გიორგი ტატულაშვილის მუზეუმ-სახელოსნოში.

სასწავლო კურსი ხორციელდება ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის პროექტის „პროფესიული განვითარების პროგრამა მხატვრული რეწვის წარმომადგენლებისთვის“ (Upskilling Crafts Workforce) ფარგლებში, USAID/ ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მხარდაჭერით.

პროგრამა ემსახურება დამწყები კერამიკოსების პრაქტიკული უნარ-ჩვევების და კერამიკულ საწარმოში მუშაობისთვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარებას.

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- მასალის შერჩევა / მასალაზე მუშაობა;
- ძერწვის და დამუშავების ტექნიკა,
- ელექტრო ღუმელში პროდუქციის გამოწვა: ჭიქურზედა მოხატვისათვის საჭირო გამოწვა;
- კერამიკული ნაწარმის დეკორირება (ამოკაწვრა, დაძერწვა, გაპრიალება და სხვა);
- ანგობები და ჭიქურებით მოხატვა / მოხატვის სხვადასხვა ტექნიკა და დამუშავება

ვის შეუძლია მონაწილეობა?

პროგრამაში მონაწილეობა შეგიძლიათ თუ თქვენ ხართ კერამიკის სპეციალობის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, დამწყები კერამიკოსი, კერამიკული წარმოებით დაინტერესებული პირი.

მონაწილეობა უფასოა და მოიცავს 16 (სამსაათიან) ინდივიდუალურ ვორქშოფს სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდში. **სასწავლო კურსზე შეირჩევა 1 მონაწილე.**

სასწავლო კურსს გაუძღვება კერამიკოსი გიორგი ტატულაშვილი, სწავლება განხორციელდება ქ. გორში, გიორგი ტატულაშვილის მუზეუმ-სახელოსნოში.

პროგრამით დაინტერესებულმა პირებმა **2022 წლის 5 სექტემბრის ჩათვლით** უნდა შეავსოთ განაცხადის ფორმა ბმულზე: https://bit.ly/3NOMPOP

საკონტაქტო ინფორმაცია:
ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
www.gaccgeorgia.org
მის: ნიკო ნიკოლაძის ქ. #7, თბილისი- 0108, საქართველო
ტელ: (+995 32) 293 13 35;
(მობ.:) 593 397 153; 555 455 843
ელ. ფოსტა: info @gaccgeorgia.org